



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

საერთო დანიშნულების
სახელმწიფო მომსახურების
სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

ფრიდონ შენგელია

„----20--“ ---01--- 2017 წელი

ეგზ. N1

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო
სამსახურის 2015 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 აპრილამდე პერიოდის
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში N2/36

სარჩევი	1
შემაჯამებელი მიმოხილვა	3
გამოვლენილი გარემოებები.....	7
საბიუჯეტო ასიგნებების დაგეგმვა და შესრულება.....	7
სოციალური უზრუნველყოფა.....	8
<i>ვეტერანთა სამედიცინო მომსახურების და ერთჯერადი უზრუნველყოფის პროგრამა.....</i>	<i>8</i>
<i>შპს "ლანცეტი"</i>	<i>13</i>
<i>საპროთეზო მომსახურება.....</i>	<i>14</i>
<i>შპს "ჯორჯიან ფორ ვეტერანსი".....</i>	<i>15</i>
შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება.....	16
საწვავის ხარჯები.....	17
შესყიდვები.....	18
<i>შესყიდვების სავარაუდო ღირებულებების განსაზღვრა.....</i>	<i>18</i>
<i>ავეჯის შესყიდვა.....</i>	<i>19</i>
<i>კინო და ვიდეო მომსახურება.....</i>	<i>19</i>
<i>სამშენებლო სამუშაოები.....</i>	<i>21</i>
რეკომენდაციები.....	27

შემოკლებები

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური - სამსახური

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - ფინანსთა სამინისტრო

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სსიპ შემოსავლების სამსახური - შემოსავლების სამსახური

შპს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური რეაბილიტაციის ცენტრი“ - შპს რეაბილიტაციის ცენტრი

უცხოური საწარმოს ფილიალი „კონვენტ ჯორჯია“ - „კონვენტ ჯორჯია“

შემაჯამებელი მიმოხილვა

- სამსახურის მიერ არათანაბარი მიდგომებია ვეტერანების დაფინანსებაზე გადაწყვეტილების მიღებისას. გადამისამართებულია ისეთი დაავადების მქონე ვეტერანების და მათი ოჯახის წევრების განცხადებები, როგორცაა ონკოლოგიური დაავადებები, გულის მწვავე დაავადებები, მედიკამენტებით უზრუნველყოფა, ქიმიოთერაპია, პნევმონია და ასე შემდეგ. მაშინ, როდესაც დაფინანსებულია ისეთი მომსახურება, როგორიცაა: სტომატოლოგიური, გინეკოლოგიური, საზღვარგარეთ ძვირადღირებული მკურნალობის ხარჯები და სხვა.

- რიგ შემთხვევებში დაფინანსებულია ისეთი ბენეფიციარების მკურნალობის ხარჯები, რომლებზეც არ დასტურდება, რომ მიეკუთვნებოდნენ მატერიალურად გაჭირვებულთა კატეგორიას. 23 შემთხვევაში დაფინანსებულია სამსახურის თანამშრომლები ჯამური თანხით 93.7 ათასი ლარი.

- ზოგიერთ შემთხვევაში, დაფინანსებულია დაახლოებით ერთი წლის სამყოფი მედიკამენტები, ისე რომ არ არის ფორმა N100-ში მითითებული წამლის მიღების ხანგრძლივობა. არის შემთხვევა, როდესაც დაფინანსებულია ერთი და იგივე მოქმედების პრეპარატი ისეთი ოდენობით, რაც საკმარისი იქნებოდა ერთი ადამიანისთვის 10 წლის განმავლობაში.

- სამსახურის ბიუჯეტიდან შპს „ლანცეტი“-სთვის ანაზღაურებულია ისეთი სახის ამბულატორიული და გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურებების ღირებულებები, რომელსაც სრულად (100%) ანაზღაურებდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა.

- შშმ რეაბილიტაციის ცენტრისთვის ანაზღაურებულია 37 ბენეფიციარზე 42 ერთეული პროთეზის დამზადებისთვის 425.7 ათასი ლარი. იგივე მოცულობის საპროთეზო მომსახურების გაწევა ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის მეშვეობით შეადგენდა 323.0 ათასი ლარით ნაკლებს.

- ადმინისტრაციული შენობისა და მიმდებარე ტერიტორიის სარეაბილიტაციო და სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას საავანსო თანხის გადარიცხვა „კონვენტ ჯორჯია“-სთვის განხორციელებულია გარანტიის გამცემი ბანკის სანდოობის შესწავლის გარეშე. შედეგად, გარანტორი ბანკის მიერ ანაზღაურებული არ არის საავანსოდ გადარიცხული თანხიდან შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულება 363.3 ათასი ლარი.

შესავალი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საჯარო სამართლის იურიდიული პირის ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის 2015 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 აპრილამდე პერიოდის საქმიანობის კანონმდებლობასთან შესაბამისობის აუდიტი.

სამსახურის ზოგადი აღწერილობა

სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის მიზანია ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების მიმართ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა, ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების სათანადო ცხოვრების პირობებისა და კეთილდღეობისათვის მყარი სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური საფუძვლის შექმნის უზრუნველყოფა, ვეტერანების და მათი ოჯახის წევრების სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერის სახელმწიფო და ადგილობრივი მიზნობრივი პროგრამების შემუშავებისა და რეალიზაციის ხელშეწყობა. სამსახურის ფუნქციებია ვეტერანთა მიმართ სოციალური დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრაში მონაწილეობა და სხვა.

აუდიტის ობიექტის პასუხისმგებლობა

ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ვეტერანების საქმეთა სამსახური ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის

სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მიწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სიზუსტეზე. პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომ გამოირიცხოს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეული კანონშეუსაბამოები.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია, აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას, განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან. აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებით შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოების რისკებზე, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით.

აუდიტის საგანი

აუდიტის საგნად განისაზღვრა: შესყიდვები, შრომის ანაზღაურება, შტატგარეშე მოსამსახურეები, მივლინების ხარჯები, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- ❖ „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ❖ „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონი;

- ❖ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ❖ „ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- ❖ „საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის სამედიცინო მომსახურების და ერთჯერადი დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ“ სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის 2015 წლის 2 თებერვლის N18 ბრძანება;
- ❖ „საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის სამედიცინო მომსახურების და ერთჯერადი დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის შესახებ“ სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის 2015 წლის 2 თებერვლის N18 ბრძანება.

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზანია, დასკვნის ჩამოყალიბება იმის შესახებ, რომ ვეტერანების საქმეთა სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობა რამდენად შესაბამისობაშია:

- კანონმდებლობასთან;
- მარეგულირებელ ნორმებთან;
- სახელშეკრულებო მოთხოვნებთან;
- შიდა ორგანიზაციულ პოლიტიკასა და პროცედურებთან;
- აუდიტის მასშტაბიდან გამომდინარე, ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნების და სადაც შესაფერისია - რეკომენდაციების შესახებ.

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულება და ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

გამოვლენილი გარემოებები

საბიუჯეტო ასიგნებების დაგეგმვა და შესრულება

„2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სამსახურის (კოდი 54 00) დამტკიცებული წლიური ჯამური ასიგნება 7.450 ათას ლარს შეადგენდა. საკასო ხარჯმა კი 7103,3 ათასი ლარი შეადგინა, რაც დამტკიცებული და დაზუსტებული ბიუჯეტის 95% შეადგენს.

წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა გეგმების დაზუსტებას ასიგნებათა გადანაწილების გზით. განხორციელებული ცვლილებების შედეგად გაზრდილია 255.0 ათასი ლარით, მთლიანად „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის შემცირების ხარჯზე.

სულ გეგმაში შეტანილია 8 ცვლილება, რომლის ჯამურმა სიდიდემ 1275.4 ათასი ლარი შეადგინა (მთლიანი ასიგნების 17.1%). კერძოდ: „საქონელი და მომსახურების“ მუხლი შემცირებულია 1020.4 ათასი ლარით (დამტკიცებული ასიგნების 40%), ხოლო მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“ შემცირებულია 255.0 ათასი ლარით (დამტკიცებული ასიგნების 17%), რომელთა ხარჯზე გაზრდილია „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლი 1100.0 ათასი ლარით (დამტკიცებული ასიგნების 350%), „სხვა ხარჯების“ მუხლი 121.0 ათასი ლარით (დამტკიცებული ასიგნების 1552%) და „სუბსიდიები“ 54.4 ათასი ლარით.

განხორციელებული ცვლილებებიდან 4 შეეხო „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლს, რომლის თავდაპირველი რაოდენობა 315.0 ათას ლარს შეადგენდა და წლის განმავლობაში ასიგნება გაზრდილია 3.5. სამსახური უმეტეს შემთხვევაში, ასიგნების გადატანას ითხოვდა გარდაცვლილი ვეტერანების ოჯახის წევრებისათვის ერთჯერადი სოციალური დახმარების მიზნით, ასევე სხვადასხვა საჭიროებისთვის. კერძოდ:

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების 2015 წლის 8 ივნისის ცნობის თანახმად¹, მუხლს „სოციალური ხარჯები“ დამატებულია 300.0 ათასი ლარი, გარდაცვლილი² ვეტერანების ოჯახის წევრებისათვის ერთჯერადი სოციალური დახმარების გასაწევად.

¹ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების 2015 წლის 8 ივნისის N775 ცნობა.

² სამსახურის 2015 წლის 8 ივნისის N 386 .წერილი

სამსახურს 2015 წლის 18 სექტემბრის წერილის თანახმად³, მოთხოვნილი აქვს „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლის ასიგნების გაზრდა 350.0 ათასი ლარით, გარდაცვლილი ვეტერანების ოჯახის წევრებისათვის ერთჯერადი სოციალური დახმარებისა და ვეტერანებისთვის ამპუტირებული კიდურების პროთეზის შერჩევა, დამზადება და მორგებისთვის. წერილში არ არის დაკონკრეტებული, რა თანხა იყო საჭირო თითოეული მიზნისთვის.

ინფორმაცია სამსახურის ასიგნებებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ მოყვანილია ცხრილში (ცხრილი N1).

ცხრილი N1

პროგრ. კოდი	დასახელება	სულ დამტკიცებული	სულ დაზუსტებული	სულ საკასო	სხვაობა	% დამტკიცებულიდან	სხვაობა	% დაზუსტებულიდან
54 00	სსიპ - ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახური	7,450,000	7,450,000	7,103,298	-346,702	95%	-346,702	95%
	შრომის ანაზღაურება	1,810,000	1,810,000	1,778,098	-31,902	98%	-31,902	98%
	საქონელი და მომსახურება	2,924,000	1,903,574	1,741,171	-1,182,829	60%	-162,403	91%
	სოციალური უზრუნველყოფა	315,000	1,415,000	1,414,933	1,099,933	449%	-67	100%
	სხვა ხარჯები	8,000	129,000	124,180	116,180	1552%	-4,820	96%
	სუბსიდიები	0	54,426	54,426	54,426	#DIV/0!	0	100%
	არაფინანსური აქტივები	2,393,000	2,138,000	1,990,490	-402,510	83%	-147,510	93%

სოციალური უზრუნველყოფა
ვეტერანების სამედიცინო მომსახურების და ერთჯერადი დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის პროგრამა

სააუდიტო პერიოდში მუხლით „სოციალური უზრუნველყოფა“ გაწეულია 1859.9 ათასი ლარის ხარჯი.

სამსახურის დირექტორის 2015 წლის 2 თებერვლის N18 ბრძანებით დამტკიცებულია „საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის სამედიცინო მომსახურების და ერთჯერადი

³ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბიუჯეტო დეპარტამენტის ხარჯთაღრიცხვის ცვლილების 2015 წლის 23 სექტემბრის N1338 ცნობა.

დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კომისიის შემადგენლობა“ (დანართი N1), „საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის სამედიცინო მომსახურების და ერთჯერადი დახმარების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის კომისიის დებულება“ (დანართი N2), „საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების და ერთჯერადი დახმარების გაცემის წესი“ (დანართი N3).

ბრძანების გამოცემის საფუძველად მითითებულია საქართველოს მთავრობის 2014 წლის 23 იანვრის N102 დადგენილების მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი, „სამსახურის ფუნქციები და მოვალეობები“, რომლის მიხედვით, სამსახურს უნდა ეზრუნა ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების სამართლებრივი და სოციალურ-ეკონომიკური გარანტიების და შესაბამისი მიზნობრივი პროგრამების განსახორციელებელ ღონისძიებათა სისტემის შემუშავებასა და მათი შესრულების ორგანიზების ხელშეწყობაზე. ასევე, ამავე დებულებით, სოციალურ საკითხთა დეპარტამენტის ძირითადი ამოცანებს წარმოადგენდა ვეტერანების და მათი ოჯახის წევრების შესახებ სოციალური უზრუნველყოფისა და ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების შემუშავება და განხორციელების ხელშეწყობა. სოციალური დაცვის სფეროს მარეგულირებელი აქტების შემუშავება და სრულყოფა⁴ და არა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების ანალოგიური ღონისძიებების განხორციელება, ან თანადაფინანსება.

კომისიის დებულების თანახმად, მის კომპეტენციაში შედიოდა სამსახურში შემოსული ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება სამედიცინო მომსახურების დაფინანსების და ერთჯერადი დახმარების გაცემის შესახებ, ხოლო სამედიცინო მომსახურების დაფინანსების და ერთჯერადი დახმარების გაცემის წესი განსაზღვრავდა ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის სამედიცინო მომსახურების დაფინანსების და ერთჯერადი დახმარების (ფინანსური დახმარება ვეტერანთა გარდაცვალებისას) გაცემის პირობებს.

სამსახურის მიერ წარმოებული სამედიცინო მომსახურების პროგრამა, წარმოადგენდა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის დამატებით ნაწილს და მოიცავდა იმ სერვისების (მაღალტექნოლოგიური გამოკვლევები, წინა და პოსტოპერაციული გამოკვლევები, რეაბილიტაცია, ლაბორატორიული კვლევები, ჰეპატიტის დიაგნოსტიკა და მკურნალობის თანადაფინანსება და სხვა სამედიცინო

⁴ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 23 იანვრის N102 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-9 მუხლის მე-5 პუნქტი;

მომსახურება) მიწოდებას, რომელსაც არ ფარავდა სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამები.

ამ წესის თანახმად, განისაზღვრა ვეტერან-ბენეფიციართა შემდეგი კატეგორიები:

- სოციალურად დაუცველები და მათი ოჯახის წევრები;
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და მათი ოჯახის წევრები;
- მრავალშვილიანი (სამი და მეტი შვილი) და მათი ოჯახის წევრები;
- მარტოხელები;
- ის ვეტერანები და მათი ოჯახის წევრები, რომლებსაც მატერიალური მდგომარეობის გამო საჭიროებდნენ დახმარებას.

აღნიშნულ ბრძანებაში წლის განმავლობაში შეტანილია 6 ცვლილება. კერძოდ: 2015 წლის 31 მარტის N52 ბრძანებით (1 თვეში), ამოღებულია მუხლი, რომელიც ზღუდავდა ბენეფიციარის წელიწადში ერთხელ მეტად დაფინანსებას⁵. ასევე, გაუქმებულია მუხლი, რომელიც მოითხოვდა ბენეფიციარების მიერ სსიპ „შემოსავლების სამსახურიდან“ წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლების შესახებ ცნობის წარმოდგენას,⁶ რაც შესაძლებელს ხდიდა კომისიას წარმოდგენა შექმნოდა ოჯახის მატერიალური მდგომარეობის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი სახის ცვლილებების მიღებამ გამოიწვია კონტროლის მექანიზმების შესუსტება და წარმოშვა კომისიის მიერ არაობიექტური გადაწყვეტილებების მიღების რისკი. მაგალითად: 2015 წლის 17 მარტს, N1 ოქმის საფუძველზე, სრულად დაფინანსებულია მოქალაქის მკურნალობა ესთეტიკური, რეკონსტრუქციული და პლასტიკური ქირურგიის კლინიკა „კარაპს მედლაინში“. პაციენტს გაწეული აქვს გინეკოლოგიური მკურნალობა, ღირებულებით 2.6 ათასი ლარი, რომელიც დასაქმებული იყო თავდაცვის სამინისტროში ბუღალტერ-აღმრიცხველის თანამდებობაზე. ვერ იქნა წარმოდგენილი მტკიცებულება, თუ რომელ კატეგორიას განეკუთვნებოდა ბენეფიციარი.

წესი ხასიათდებოდა ხარვეზებით:

- წესის დანართი N3-ის მე-3 მუხლის მიხედვით⁷, კომისია აღჭურვილი იყო, ბენეფიციარების ნაწილობრივი, ან სრული დაფინანსების უფლებამოსილებით ისე, რომ არ დადგენილა ერთი ბენეფიციარისთვის ასანაზღაურებელი თანხის წლიური ლიმიტი. 2015 წელსა და 2016 წლის I კვარტალში ერთ ბენეფიციარზე

⁵ სსიპ-„ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის“ დირექტორის 2015 წლის 6 თებერვლის N18 ბრძანების დანართი N3-დან მე-2 მუხლი.

⁶ სსიპ-„ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის“ დირექტორის 2015 წლის 6 თებერვლის N18 ბრძანების დანართი N3-დან მე-4 მუხლი.

⁷ სამკურნალო საშუალებათა ანაზღაურების წესი.

ანაზღაურებული მედიკამენტების მაქსიმალურმა ღირებულებამ შესაბამისად 3,566 ლარი და 7,048 ლარი შეადგინა.

- წესის დანართი N2-ის მე-2 მუხლის მიხედვით, კომისიის კომპეტენციაში შედიოდა ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრების განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება სამედიცინო მომსახურების დაფინანსების და ერთჯერადი დახმარების გაცემის შესახებ. აღნიშნულის მიუხედავად, 2015 წელს განცხადებების ნაწილი, კომისიური წესით განხილვის გარეშე, დაფინანსების შუამდგომლობის მიზნით, გადაგზავნილ იქნა სხვადასვა უწყებაში. აუდიტის პერიოდში სამსახურში სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების დაფინანსების თხოვნით შემოსულია სულ 4220 განცხადება, საიდანაც კომისიის მიერ დაფინანსებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 1929 განცხადებაზე, ხოლო 2294 განცხადებაზე გაიცა შუამდგომლობა სხვადასხვა სახელმწიფო თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე.
- კომისიის ოქმებში არ არის მსჯელობა იმის თაობაზე, თუ რომელ მიზნობრივ ჯგუფს განეკუთვნებოდნენ დაფინანსებული ბენეფიციარები და შემოსული განცხადებებიდან რა ნიშნით ხდებოდა უპირატესობის მინიჭება. ვეტერანების ნაწილმა წლის განმავლობაში მიიღო დახმარება ერთზე მეტად, ხოლო ვეტერანების მეორე ნაწილმა ანალოგიური დასახელების დაავადებებზე, საერთოდ ვერ მიიღო დახმარება და მათი განცხადებები, შუამდგომლობის მიზნით, გადაგზავნილია სხვადასხვა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოებისთვის. შესაბამისად, იკვეთება სამსახურის მიერ არათანაბარი მიდგომები დაფინანსებაზე გადაწყვეტილების მიღებისას. გადამისამართებულია ისეთი დაავადების მქონე ვეტერანების და მათი ოჯახის წევრების განცხადებები, როგორიცაა ონკოლოგიური დაავადებები, გულის მწვავე დაავადებები, მედიკამენტებით უზრუნველყოფა, ქიმიოთერაპია, პნევმონია და ასე შემდეგ. მაშინ, როდესაც დაფინანსებულია ისეთი მომსახურებები, როგორიცაა: სტომატოლოგიური მომსახურება, საზღვარგარეთ ძვირადღირებული მკურნალობის ხარჯები და სხვა. მაგალითად:

✓ 19 ბენეფიციარზე დაფინანსებულია ძვირადღირებული სტომატოლოგიური მომსახურება (მეტალოკერამიკა, მოტიტანებული გვირგვინის ჩასმა და სხვა), რომელიც განეკუთვნება კოსმეტიკური მიზნით ჩატარებულ მკურნალობას, ჯამურად 21.2 ათასი ლარის ოდენობით.

✓ აუდიტის პერიოდში, 8 ბენეფიციარისათვის ანაზღაურებულია საზღვარგარეთ მკურნალობის ღირებულება, რამაც ჯამურად შეადგინა 66.1 ათასი ლარი.

- აუდიტის პერიოდში, ადგილი ჰქონდა ვეტერანი თანამშრომლებისთვის როგორც სხვადასხვა სახის სამედიცინო მომსახურების, ასევე მედიკამენტების, ან ორივე სახის დახმარების თანხის ანაზღაურებას. 2015 წელს 19 ვეტერან თანამშრომელზე ანაზღაურებულია 81.7 ათასი ლარი, ხოლო 2016 წლის პირველ კვარტალში 4 ვეტერან თანამშრომელზე 12.0 ათასი ლარი. 2015 წელს თანამშრომელ ბენეფიციარებზე გაწეული მომსახურებისა და გაცემული მედიკამენტების (ან ორივე ერთად) საშუალო ანაზღაურებამ 4301 ლარი, ხოლო სხვა დანარჩენ ბენეფიციარზე (1098 ერთეული) კი 992 ლარი შეადგინა, ანუ 450%-ით ნაკლები თანამშრომელ ბენეფიციარებზე გაწეული დახმარების საშუალო მაჩვენებელზე. ანალოგიურად, 2016 წლის I კვარტალში, 4 თანამშრომლისთვის გაწეულმა დახმარებამ საშუალოდ 3009 ლარი შეადგინა, ხოლო სხვა დანარჩენ ბენეფიციარზე (947 ერთეული) საშუალოდ 363 ლარი, რაც 830%-ით ნაკლებია თანამშრომელ ბენეფიციარებზე გაწეულ დახმარებასთან შედარებით. სამსახურის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია, თუ რომელ მიზნობრივ ჯგუფს მიეკუთვნებოდა დაფინანსებული თანამშრომელი ბენეფიციარები.
- რიგ შემთხვევებში სამედიცინო მომსახურებაზე დაფინანსების მისაღებად, წარმოდგენილი საბუთები არ იყო სრულყოფილი, კერძოდ: ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა IV-100/ა) ცნობებში არ იყო მითითებული წამლების მიღების პერიოდი და რაოდენობა (ექიმის დანიშნულებები), რაც უნდა ყოფილიყო კომისიისთვის, მედიკამენტების დაფინანსების ოდენობის განმსაზღვრელი. ზოგიერთ შემთხვევაში, დაფინანსებულია დაახლოებით ერთი წლის სამყოფი მედიკამენტები, ისე რომ არ არის ფორმა N100-ში მითითებული წამლის მიღების ხანგრძლივობა. არის შემთხვევა, როდესაც დაფინანსებულია ერთი და იგივე მოქმედების პრეპარატი ისეთი ოდენობით, რაც საკმარისი იქნებოდა ერთი ადამიანისთვის 10 წლის განმავლობაში. კერძოდ: 2015 წლის 11 მაისის N1 ოქმის საფუძველზე გაცემულია საგარანტიო წერილი⁸ 1.4 ათასი ლარის ღირებულების 5 დასახელების მედიკამენტის ანაზღაურების თაობაზე. ფაქტობრივი შესრულების საბუთების მიხედვით⁹ შეძენილია 8 დასახელების, 1.4 ათასი ლარის ღირებულების ისეთი პრეპარატები, რომლებიც არ იყო დანიშნული ფორმა IV-100/ა-ს მიხედვით და არც წინასწარ ანგარიშფაქტურაში იყო მოხსენიებული. აღსანიშნავია, რომ ანგარიშ-ფაქტურის მიხედვით დაფინანსებულია, პრეპარატი „კაპტოპრილი“, (წნევის დამწვევი) 2500 ტაბლეტი (#50ტ-50 კოლოფი), (დღეში ერთჯერადი მიღების პირობებში), დაახლოებით 8

⁸ N47/02-02-23/07-01, 12.03.2015 წელი.

⁹ შპს „ავერსი-გეოფარმა, გაყოფის ზედნადები N662, 13.03.15წელი.

წლის სამყოფი და „პრესტანსი“ (10/10)- 720 ტაბლეტი (წნევის დამარეგულირებელი, #30 ტ-24 კოლოფი), დაახლოებით 2 წლის სამყოფი.

ვეტერანებისა და მათი ოჯახის წევრებისთვის ერთჯერადი დახმარების (ფინანსური დახმარება ვეტერანთა გარდაცვალებისას) ანგარიშსწორების აუდიტით გამოვლინდა 2 პიროვნებაზე დაწესებული ნორმის ორმაგი ოდენობის გადახდა. სამსახურის განმარტებით ერთ პიროვნებაზე ორმაგი თანხის ანაზღაურება გამოწვეულია ტექნიკური შეცდომით და მათ მიერ, აღნიშნულ საკითხზე, მიღებულია კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები. ერთი ბენეფიციარი ზედმეტად მიღებულ თანხას ფარავს ეტაპობრივად, თვეში 50 ლარის ოდენობით, თანხის სრულ დაფარვამდე. ხოლო მეორე ბენეფიციარის მიმართ, ზედმეტად ანაზღაურებული თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნით მზადდება სარჩელი.

შპს „ლანცეტი“

სამსახურს 2016 წლის 28 იანვარს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სამედიცინო ცენტრ შპს „ლანცეტთან“, რომელიც ითვალისწინებდა ვეტერანებისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევას შეღავათიან ფასებში.

ვეტერანთათვის სამედიცინო მომსახურების შუფერხებლად მიწოდების მიზნით, ცენტრის¹⁰ სისტემაში უნდა შექმნილიყო აკადემიკის ვ. სანიკიძის სახელობის ვეტერანთა მომსახურების სპეციალური სტრუქტურული ერთეული/დანაყოფი, რომელიც ექსკლუზიურად უზრუნველყოფდა ვეტერანთათვის სამედიცინო მომსახურების გაწევას. ასევე, აღნიშნულ ჰოსპიტალში მომუშავე ექიმთა დასაქმებას, კვალიფიკაციისა და პროფილის შესაბამისად.

მემორანდუმით გათვალისწინებული იყო სამსახურის მიერ სამედიცინო ცენტრის სამედიცინო სერვისების პოპულარიზაცია ვეტერანებსა და საზოგადოების სხვა წევრებს შორის¹¹.

2016 წლის თებერვალში, ვეტერანის სტატუსით მოსარგებლე 354 პაციენტისთვის, გაწეულია სამედიცინო მომსახურება თანხით 67.2 ათასი ლარი, მათ შორის ამბულატორიული მკურნალობა ჩატარებული აქვს 333 პაციენტს თანხით 48.9 ათასი ლარი და სტაციონარული მკურნალობა 21 პაციენტს 18.3 ათასი ლარი.

შპს „ლანცეტი“ ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ამბულატორიული მომსახურების მიმღებად არ იყო რეგისტრირებული, შესაბამისად

¹⁰ მემორანდუმის მუხლი 4, პუნქტი 4.1.2.

¹¹ მემორანდუმის მუხლი 4, პუნქტი 4.2.1. და მემორანდუმის მუხლი 4, პუნქტი 4.2.2.

სამსახურის ბიუჯეტიდან ანაზღაურებულია 48.9 ათასი ლარის ამბულატორიული და გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურებები, რომელსაც სრულად (100%) ანაზღაურებდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა.

საპროთეზო მომსახურება

2015 წელს სამსახურს 37 ვეტერანისთვის დაფინანსებული აქვს 42 ერთეული პროთეზის ღირებულება, რაშიც გახარჯულია სულ 425.7 ათასი ლარი. აქედან 4 ვეტერანის საპროთეზო მომსახურება 5.3 ათასი ლარის ოდენობით დაფინანსებულია წესში შესაბამისი ცვლილების შეტანამდე¹². აღსანიშნავია, რომ 2015 წელს ჯანდაცვის სამინისტრო სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მეშვეობით ახორციელებდა დამხმარე საშუალებებით ვეტერანების უზრუნველყოფას, რომლის ერთ-ერთ კომპონენტს წარმოადგენდა პროთეზირების დაფინანსება. პროგრამის მიხედვით, ამპუტანტ ვეტერანებზე სილიკონ-ლაინერით ან მის გარეშე დამზადებულ პროთეზებზე გათვალისწინებული იყო 100%-იანი დაფინანსება.

2015 წლის 30 სექტემბერს გაფორმებულია სამმხრივი მემორანდუმი სამსახურს, ჯანდაცვის სამინისტროს პროგრამის მომსახურების განმახორციელებელ სახელმწიფო შპს-თან („შშმ რეაბილიტაციის ცენტრი“) და პროთეზების დამამზადებელ გერმანულ ფირმა Ottobock HealthCare GmbH-თან, რის შედეგად შშმ რეაბილიტაციის ცენტრისთვის ანაზღაურებულია 38 პროთეზის დამზადებისთვის 420.4 ათასი ლარი (მათ შორის ხელფასი - 31.8 ათასი ლარი, ზედნადები ხარჯები-17.1 ათასი ლარი, მოგება-12.8 ათასი ლარი). აღსანიშნავია, რომ იგივე მოცულობის საპროთეზო მომსახურების გაწევა ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით შეადგენდა არაუმეტეს 97.4 ათას ლარს¹³, ანუ 323.0 ათასი ლარით ნაკლებს სამსახურის მიერ გაწეულ ხარჯებთან შედარებით. სამსახურის განმარტებით:

- „პროგრამით გათვალისწინებული პროთეზები იყო უხარისხო, რომელიც არ ითვალისწინებდა სილიკონ-ლაინერს. თურქული წარმოების ნაწილის შემადგენლობაში არის რკინა/მეტალი, რომელიც წონით უფრო მეტია,

¹² 2015 წლის 7 ოქტომბრის N167 ბრძანებით, სსიპ „ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის დირექტორის 2015 წლის 6 თებერვლის N18 ბრძანების N3 დანართს დაემატა 2¹ მუხლი „საპროთეზო საშუალებებით უზრუნველყოფა“, რომელიც საშუალებას იძლეოდა დაფინანსებულიყო პროთეზირება, მათ შორის ლამინირებული სილიკონით და თერმონილით. 2015 წლის 9 ოქტომბრის N169 ბრძანებით, 2¹ მუხლს დაემატა მე-6 პუნქტი.

¹³ აუდიტის ჯგუფის მიერ გაანალიზდა სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ „საპროთეზო-ორთოპედიული მომსახურების“ კომპონენტის ტარიფები და შშმ რეაბილიტაციის ცენტრის მიერ მემორანდუმის ფარგლებში განხორციელებული ვეტერანთა პროთეზირებაზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

არაკომფორტულია, იწვევს კანის სხვადასხვა დაავადებას და ბენეფიციარს ხელს უშლის საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესს“. „მემორანდუმის დამუშავების პროცესში, სამსახურის ხელმძღვანელობას ჰქონდა შეხვედრა ჯანდაცვის მინისტრთან, რომლის მიზანს წარმოადგენდა პროგრამის ფარგლებში არსებული თანხების გამოყენება და ერთობლივად მაღალხარისხიანი საპროთეზო საშუალებების დამზადება. თანამშრომლობა ჯანდაცვის სამინისტროსთან ვერ მოხერხდა. ასევე ვერ მოხერხდა შეთანხმების მიღწევა თავდაცვის სამინისტროში USAID-ის წარმომადგენელთან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენმა სამსახურმა გადაწყვიტა დამოუკიდებლად განეხორციელებინა ვეტერანებისთვის მაღალხარისხიანი პროთეზების დამზადება“.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 3 ბენეფიციარზე ანაზღაურებულია კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრულ დასაფინანსებელ მოცულობასთან შედარებით 29.6 ათასი ლარით მეტი თანხა, რაც სამსახურის განმარტებით გამოწვეულია მექანიკური შეცდომით.

შპს „ჯორჯიან ფორ ვეტერანსი“

2015 წლის 24 ივლისს სამსახურსა და შპს „ჯორჯიან ფორ ვეტერანს“ შორის გაფორმებულია ორმხრივი თანამშრომლობის მემორანდუმი. შპს „ჯორჯიან ფორ ვეტერანსი“ წარმოადგენდა კომერციული იურიდიული პირის, „ფორტუნა ჰოლდინგის“ შვილობილ კომპანიას, რომელიც შექმნილია 2015 წლის ივლისში და გეგმავდა სხვადასხვა პროექტის განხორციელებას და ხელი უნდა შეეწყო ვეტერანების კეთილდღეობის და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისთვის. ამ მიზნით კომპანია ვალდებულებას იღებდა შეექმნა და ემართა ექსკლუზიური „ვეტერანთა კლუბი“, მოეზიდა პარტნიორი კომპანიები და ისეთი იურიდიული პირები, რომლებიც დააფინანსებდნენ „ვეტერანთა კლუბის“ სხვადასხვა აქტივობებს.

2016 წლის 1 მარტს სამსახურსა და შპს „ჯორჯიან ფორ ვეტერანსს“ შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომლის თანახმად სამსახურს ეტაპობრივად, 3 თვის განმავლობაში უნდა გადაეცა კომპანიისთვის იმ ვეტერანთა პერსონალური მონაცემები (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ვეტერანის საიდენტიფიკაციო კოდი. რეგისტრაციის მისამართი, ფაქტიური საცხოვრებელის მისამართი, ტელეფონის ნომერი), რომლებიც განაცხადებდნენ თანხმობას მონაცემთა გადაცემაზე, მათთვის ფასდაკლების ტალონებისა და სპეციალური (სასაჩუქრე, საკრედიტო და სადებეტო) ბარათების დასამზადებლად. კომპანია, თავის მხრივ, იღებდა ვალდებულებას,

უსასყიდლოდ უზრუნველყო ვეტერანთათვის ფასდაკლების ვებ პორტალისა და სპეციალური (სასაჩუქრე, საკრედიტო და სადებეტო) ბარათების შექმნა და გადაცემა. ამასთან, კომპანია იღებდა ვალდებულებას, დაეცვა და არ გადაეცა სხვა პირისთვის „სსიპ ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ვეტერანთა აღრიცხვის მონაცემთა ბაზაში ფიზიკურ პირებზე არსებული ინფორმაცია, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა დაცვით. სამსახურსა და შპს „ჯორჯიან ფორ ვეტერანსს“ შორის 2016 წლის 9 მარტს გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის თანახმად, შპს „ჯორჯიან ფორ ვეტერანსს“ გადაცემული აქვს 13 463 ვეტერანის პერსონალური მონაცემი (სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ვეტერანის საინდეტიფიკაციო კოდი, რეგისტრაციის მისამართი, ფაქტიური საცხოვრებელის მისამართი, ტელეფონის ნომერი). სამსახურის განმარტებით, პერსონალური მონაცემები გადაცემულია ვეტერანების თანხმობით. თუმცა, მონაცემთა გადაცემის შემდეგ, აქტივობები არ განხორციელებულა.

შტატგარეშე მოსამსახურეები

სამსახურში 2015 წელს შტატგარეშე მოსამსახურეთა საშუალო ფაქტობრივმა რაოდენობამ შეადგინა 42 მოსამსახურე, ხოლო 2016 წლის 1 იანვრიდან 31 მარტის მდგომარეობით 47 მოსამსახურე. მათზე, შესაბამისი პერიოდების მიხედვით, ანაზღაურებულია 241.2 ათასი ლარი (მათ შორის პრემია 35.0 ათასი ლარი) და 136.3 ათასი ლარი. შტატგარეშე მომუშავეთა თვიური ანაზღაურება მერყეობდა 700 ლარიდან 1800 ლარის ფარგლებში, თუმცა საშუალო თვიურ ანაზღაურებას, სააუდიტო პერიოდში არ გადაუჭარბებია კანონით დადგენილი ზღვრული მონაცემისთვის.

2015 წელს აყვანილი შტატგარეშე მომუშავედან, უმეტესი ნაწილის დასაქმება ხდებოდა არა დროებით, არამედ ხანგრძლივი პერიოდით (6 თვიდან 12 თვემდე პერიოდით), მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესასრულებლად.

შტატგარეშე მომუშავეთა მიერ მუდმივი ხასიათის სამუშაოების შესრულების და ხანგრძლივი პერიოდით დასაქმების მიუხედავად, სამსახურს საქართველოს მთავრობისათვის დამატებითი შტატების გამოყოფის მიზნით, არ მიუმართავს.

შტატგარეშე მომუშავეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით, შესასრულებელი სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარდგენის ფორმა განსაზღვრული არ ყოფილა. შესაბამისად, მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიში, მოხსენებითი ბარათი ან სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი წარმოდგენილი ვერ იქნა.

საწვავის ხარჯები

სააუდიტო პერიოდში სამსახურის ბალანსზე რიცხულ ავტომანქანებზე სულ გახარჯულია 79.3 ათასი ლარის ღირებულების 49 155 ლიტრი საწვავი.

სამსახურის შინაგანაწესის¹⁴ მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, დასაქმებული ვალდებულია დაიცვას და გაუფრთხილდეს დამსაქმებლის ქონებას, მიზნობრივად გამოიყენოს ყველა მატერიალური ფასეულობა, რომელიც გადაეცა სამუშაოს შესასრულებლად. მიმდინარე აუდიტით რიგ შემთხვევებში გამოვლინდა სატრანსპორტო საშუალებებისა და 6.0 ათასი ლარის ღირებულების 3641 ლიტრი საწვავის არასამსახურებრივი მიზნებისათვის გამოყენების ფაქტები. კერძოდ, იმ პირობებში, როდესაც ადგილი არ ჰქონია სამსახურებრივ მივლინებებს, 70 შემთხვევაში დაფიქსირდა 5.2 ათასი ლარის ღირებულების 3125 ლიტრი საწვავის ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ბენზინგასამართ სადგურებზე საწვავის ჩასხმის ფაქტები. გარდა აღნიშნულისა, სამსახურის დირექტორის საზღვარგარეთ მივლინებაში ყოფნის პერიოდში, მასზე განპიროვნებულ ავტომანქანაში ჩასხმულია 0.6 ათასი ლარის ღირებულების 385 ლიტრი საწვავი, ანალოგიურად დირექტორის პირველი მოადგილის ავტომანქანაში 0.2 ათასი ლარის ღირებულების 131 ლიტრი საწვავი.

მნიშვნელოვანი რისკები გამოვლინდა სამორიგეო ავტომანქანებზე ლიმიტით გამოყოფილი საწვავის ხარჯვისას. საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილებით დამტკიცებული „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის“ მე-2 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, სამორიგეო ავტომობილი არის ზოგადი სამსახურებრივი საჭიროებიდან გამომდინარე (გარდა საპროტოკოლო/სასტუმრო ავტომობილებისა) დაკისრებული სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად განკუთვნილი სატრანსპორტო საშუალება, რომელიც არ განკუთვნება განპიროვნებული ავტომობილების რიცხვს და გამოიყოფა ყოველი კონკრეტული მოთხოვნის საფუძველზე, დაწესებულების კონკრეტულ თანამშრომელზე.

აუდიტით დადგინდა, 2015 წელს სამორიგეო მანქანებზე გახარჯული საწვავის ოდენობა სულ შეადგენდა 21352 ლიტრს, ღირებულებით 40.0 ათასი ლარი, ხოლო 2016 წლის 1 აპრილამდე პერიოდში გახარჯულია 5130 ლიტრი 7.0 ათასი ლარის ღირებულების საწვავი. სამორიგეო ავტომობილების გამოყოფაზე ვერ იქნა

¹⁴ დამტკიცებულია სამსახურის დირექტორის 2015 წლის 5 იანვრის N01 ბრძანებით

წარმოდგენილი მოთხოვნა, კონკრეტული თანამშრომლისავის ავტომობილის გამოყოფის საჭიროების თაობაზე.

რეკომენდაცია:

მიზანშეწონილია განხორციელდეს საწვავის ლიმიტების ოპტიმიზაცია. სამორიგეო ავტომანქანების გამოყოფა მოხდეს წერილობითი ფორმით ან ელექტრონული განაცხადის საფუძველზე.

სახელმწიფო შესყიდვები

შესყიდვების სავარაუდო ღირებულებების განსაზღვრა

სავარაუდო სატენდერო ღირებულებები ბევრად აღემატებოდა საბოლოოდ დაფიქსირებულ სატენდერო წინადადების ფასებს, მაგალითად:

SPA	მიწოდებლის დასახელება	შესყიდვის საშუალება	ხელშეკრულების ობიექტი	სავარაუდო ღირებულება	ტენდერში დაფიქს. თანხა	სხვაობა (ლარი)	%-ლი სხვაობა
150008828	კომპანია geosm	გეტ	საკანცელარიო	13,300	8,383	4,917	37.0%
150013938	ლ. ხვიჩიას სტამბა	გეტ	ბეჭდვა	1,330	887	443	33.3%
150014600	პროგრეს სერვისი	გეტ	დასუფთავება	14,000	7,999	6,001	42.9%
150018479	პირამიდა	გეტ	კარტრიჯები	23,300	16,000	7,300	31.3%
150029309	პოლიგრაფისტი	გეტ	ბეჭდვა	11,670	6,498	5,172	44.3%

სავარაუდო ღირებულებების განსაზღვრა ბაზრის დეტალური და საფუძვლიანი კვლევის გარეშე წარმოშობს საბიუჯეტო თანხების არარაციონალურად, არაეკონომიურად განკარგვის რისკებს. ზოგ შემთხვევაში დაფიქსირებული დიდი განსხვავებები სავარაუდო და სახელშეკრულებო ფასს შორის სამსახურის განმარტებით, გამოწვეულია ბაზრის კვლევის ეტაპზე, ბაზრის კვლევაში მონაწილე კომპანიების მიერ სავარაუდო ღირებულებების გაზრდილი ოდენობის მიწოდებით, რომლებიც შემდგომ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად აფიქსირებენ გაცილებით დაბალ ფასებს.

რეკომენდაცია:

საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვის მიზნით შესყიდვების სავარაუდო ღირებულებები განისაზღვროს ბაზრის დეტალური და საფუძვლიანი კვლევის შედეგად. კონტროლის მექანიზმებისა და ინსტრუქციური მეხსიერების გაძლიერებისა და მეტად ეფექტური ფუნქციონირებისათვის განახორციელოს კვლევის შედეგების დადოკუმენტირება.

ავეჯის შესყიდვა

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სააუდიტო პერიოდში, სამსახურს სულ შესყიდული აქვს 167.4 ათასი ლარის ავეჯი და ავეჯის აქსესუარები. აქედან 41.5 ათასი ლარის ავეჯზე მიზნობრიობად განსაზღვრულია სამსახურის რეგიონული ფილიალებისათვის გადაცემა, ხოლო 98.8 ათასი ლარის ავეჯი (კარადები და სკამები) შესყიდულია ქ. თბილისში, გორგასლის ქ. N75-ში მდებარე ადმინისტრაციული ოფისისათვის (რომელზედაც მიმდინარეობს სარეაბილიტაციო სამუშაოები). ასევე შეძენილია 27.2 ათასი ლარის საინფორმაციო სტენდები სამსახურის ფილიალებში ბუკლეტებისა და ბროშურების განსათავსებლად. წარმოდგენილი დოკუმენტაციის (მ/ჩ აქტები) თანახმად სამსახურის რეგიონული ფილიალებისათვის შეძენილი ავეჯი გადაცემულია სრულად. ხოლო აუდიტის ჯგუფის მიერ ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ კარადები და სკამები აუდიტის მიმდინარეობისას განთავსებული იყო სამსახურის იურიდიულ მისამართზე (ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N75) მდებარე ადმინისტრაციულ შენობაში.

კინო და ვიდეომომსახურება

2015 წლის 9 იანვარს, კინო და ვიდეომომსახურებების შესყიდვაზე (სავარაუდო ღირებულება განსაზღვრული იყო 72.0 ათასი ლარით) გამოცხადებულ გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში 59.9 ათასი ლარით გამარჯვებულია შპს „კავკასიის კინო სერვისი“. პრეტენდენტს უნდა გადაეღო და წარმოედგინა 1 დოკუმენტური ფილმი და 1 ვიდეორგოლი, რომლებიც შეეხებოდა ვეტერანების, მეორე მსოფლიო ომის, აფხაზეთის, სამაჩაბლოს და 2008 წლის აგვისტოს ომის გმირების ისტორიებს და მოემსახურებოდა პატრიოტული სულისკვეთების გაღვივებას. სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული იყო შემდეგი მოთხოვნები: მინიმუმ 5 წლიანი გამოცდილება (2010-2014) კინო-ვიდეო წარმოების სფეროში, მათ შორის დოკუმენტური ფილმების და სარეკლამო რგოლების სახით, რეჟისორს გადაღებული უნდა ჰქონოდა მსგავსი შინაარსის მინიმუმ 10 ერთეული დოკუმენტური ფილმი და ასევე მინიმუმ 5 ერთეული სარეკლამო ვიდეო რგოლი ამ თემაზე და 2010 წლის იანვრიდან 2014 წლის დეკემბრის ჩათვლით 100.0 ათასი ლარის ფულადი ბრუნვა, მსგავსი საქმიანობიდან მიღებული.

პრეტენდენტს მსგავსი საქმიანობის გამოცდილების დასადასტურებლად უნდა წარმოედგინა 5 წლიანი პერიოდის ინფორმაცია შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურებული მათ შორის დოკუმენტური ფილმებისა და ვიდეორგოლების სახით. შპს „კავკასიის კინო სერვისი“-ს დირექტორის მიერ წარმოდგენილია

ინფორმაცია გამოცდილების შესახებ, მაგრამ არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ფილმები და ვიდეორგოლები.

რეჟისორის გამოცდილების დასადასტურებლად პრეტენდენტმა წარმოდგენილი აქვს რეჟისორის მიერ გადაღებული 27 ერთეული ფილმისა და 6 ვიდეორგოლის ჩამონათვალი და ფილმის შინაარსი, საიდანაც სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით¹⁵ მხოლოდ 1 ფილმი და 1 ვიდეორგოლი აღმოჩნდა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისი და 2015 წლის 23 იანვრის N90/22 წერილით პრეტენდენტს მოეთხოვა დოკუმენტაციის დაზუსტების მიზნით სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ შესყიდვის ობიექტის მსგავსი 10 ერთეული დოკუმენტური ფილმისა და 5 ერთეული ვიდეორგოლის წარმოდგენა, რისთვისაც განესაზღვრა 3 სამუშაო დღე. შპს „კავკასიის კინოსერვისი“ 2015 წლის 27 იანვარს ფილმებისა და ვიდეორგოლების ნაცვლად წარმოდგენილი აქვს ფილმებისა და ვიდეორგოლების (შესაბამისად 14 ერთეული და 6 ერთეული) ჩამონათვალი და შინაარსი, საიდანაც 10 ერთეული ფილმისა და 2 ერთეული ვიდეორგოლის შინაარსი პრეტენდენტის მიერ უკვე წარმოდგენილი იყო სატენდერო წინადადებითაც და მათი შინაარსი სატენდერო კომისიის მიერ შეფასებული იყო შეუსაბამოდ სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებთან. ამის მიუხედავად სატენდერო კომისიას არ მოუხდენია¹⁶ პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია და 2015 წლის 4 თებერვლის N163/22 წერილით მოწვეულია შპს „კავკასიის კინო სერვისი“ ხელშეკრულების¹⁷ გასაფორმებლად.

სამშენებლო სამუშაოები

სამსახურის ადმინისტრაციული შენობისა და მიმდებარე ტერიტორიის სარეაბილიტაციო და სარემონტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე 2015 წლის ივნისში გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA150016726) 2,238.6 ათასი ლარით გამარჯვებულია უცხოური საწარმოს ფილიალი „კონვენტ ჯორჯია“, რომელიც დაფუძნებულია შპს „კონვენტი“-ს (აზერბაიჯანი) მიერ და რეგისტრირებულია სამეწარმეო რეესტრში 2014 წლის 15 ივლისს. „კონვენტ ჯორჯია“-ს გამოცხადებულ ტენდერში სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი გამოცდილების დამადასტურებელ დოკუმენტებად წარმოდგენილი ჰქონდა შპს „კონვენტ“-ის მიერ სამშენებლო სამუშაოების შესრულების დოკუმენტები.

¹⁵ სატენდერო კომისიის 23.01.2015წ. სხდომის ოქმი#2

¹⁶ სატენდერო კომისიის 04.02.2015წ. სხდომის ოქმი#3

¹⁷ მხარეებს შორის 2015 წლის 10 თებერვალს გაფორმებულია N22 ხელშეკრულება ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვის შესახებ

სატენდერო დოკუმენტაციის თანახმად (მონაცემები პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ - დანართი N3) პრეტენდენტს ბოლო სამი წლის (2012-2014 წწ.) განმავლობაში უნდა ჰქონოდა ერთ პროექტად განხორციელებული, დანართ N1-ში (შესრულებელი სამუშაოების ჩამონათვალი) მითითებული სამუშაოების შესრულების გამოცდილება, რომლის სახელშეკრულებო ღირებულებაც უნდა ყოფილიყო არანაკლებ 2,500.0 ათასი ლარი. ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი-ფორმა N2-ები ერთად ატვირთული უნდა ყოფილიყო ერთიან ელექტრონულ სისტემაში. მიუხედავად იმისა, რომ „კონვენტ ჯორჯია“-ს მიერ შესრულებული სამუშაოების დასადასტურებლად არ ყოფილა წარმოდგენილი (ატვირთული) ფორმა N2-ები, მათ შორის დაზუსტების შემდეგ¹⁸ (მის მაგივრად წარმოდგენილი იყო „საბოლოო ხარჯთაღრიცხვა“) სატენდერო კომისიას არ მოუხდენია პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.

აღსანიშნავია, რომ „კონვენტ ჯორჯია“-ს მიერ, როგორც სატენდეროდ წარმოდგენილ, ასევე დაზუსტებულ ხარჯთაღრიცხვაში (ვენტილაციის სისტემის მოწყობა-ხარჯთაღრიცხვა N6) სამაცივრო დანადგარის-ჩილერის (კომპლექტი) ღირებულებად მითითებული აქვს არარეალურად დაბალი ფასი 1.6 ათასი ლარი დღ-ს გარეშე. მაშინ, როდესაც საპროექტო ხარჯთაღრიცხვით აღნიშნულის ფასი შეადგენდა 67.5 ათას ლარს დღ-ს გარეშე, ხოლო ტენდერში „კონვენტ ჯორჯია“-ს ერთადერთ კონკურენტს შპს „ჯორჯიან ინჟირინინგს“ სატენდერო წინადადებაში ჩილერის ღირებულებად დაფიქსირებული ჰქონდა 145.0 ათასი ლარი დღ-ს გარეშე, რაც იმთავითვე წარმოშობდა რისკებს, რომ ჩილერის ფასი ხელოვნურად იყო შემცირებული.

შემსრულებელთან 2015 წლის 31 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად სამუშაოების ჩაბარების ვადად განსაზღვრულია 2016 წლის 30 მარტი (ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენის ჩათვლით). მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.3 პუნქტის თანახმად, გათვალისწინებული იყო წინასწარი ანგარიშსწორება სახელშეკრულებო ღირებულების არაუმეტეს 50%-ისა, საბანკო დაწესებულებიდან საავანსო თანხის იდენტური ოდენობის, უპირობო გამოუთხოვადი საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში. „კონვენტ ჯორჯია“-ს მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტია გაცემულია open joint stock company eurobank-ის (აზერბაიჯანი) მიერ (მოქმედების ვადა 30.05.2016 წელი) და ავიზირებული იყო სს „საქართველოს ბანკის“ მიერ 2015 წლის 18 სექტემბერს. ამასთან, სს „საქართველოს ბანკს“ 2015 წლის 18 სექტემბრის N04/19501 წერილით მიმართული აქვს სამსახურისთვის, რომ ავიზირებადი ბანკის პასუხისმგებლობას

¹⁸ სამსახურის 09.07.2016 წ. N501/02.02-22/02.03 წერილი

წარმოადგენდა მხოლოდ დოკუმენტალური ოპერაციების აუთენტურობის და ნამდვილობის დადგენა და შესაბამისად მას არ გააჩნდა ფინანსური პასუხისმგებლობა ან ვალდებულება აღნიშნული ფინანსური ინსტრუმენტის ფარგლებში. წარმოდგენილი საბანკო გარანტიის საფუძველზე „კონვენტ ჯორჯია“-ზე ავანსის სახით 2015 წლის 22 სექტემბერს გადარიცხულია 1,000.0 ათასი ლარი. საგულისხმოა, რომ აუდიტის მიმდინარეობისას აუდიტის ჯგუფის მიერ სხვადასხვა აზერბაიჯანულ ვებ-გვერდებზე¹⁹ მოძიებული ინფორმაციით ზემოაღნიშნული ბანკი გაკოტრებულად იყო გამოცხადებული ბაქოს ადმინისტრაციულ-ეკონომიკური სასამართლოს მიერ 2015 წლის 10 აგვისტოს, ანუ გარანტიის გაცემამდე 39 დღით ადრე. ამასთან, ტენდერის გამოცხადებამდე, 2015 წლის აპრილში ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციებში ცირკულარულად დაგზავნილია ეროვნული ბანკის წერილი, იმის თაობაზე, რომ საბანკო გარანტიები მოთხოვნილი ყოფილიყო მხოლოდ მაღალი სანდოობის საერთაშორისო ან ქართული კომერციული ბანკებიდან. მიუხედავად აღნიშნულისა, სამსახურს არ გამოუკვლევია, რამდენად საიმედო იყო ზემოაღნიშნული აზერბაიჯანული ბანკი. შესაბამისად, საავანსო თანხის გადარიცხვა სამსახურის მხრიდან განხორციელებულია, არსებული გარემოებების შესწავლისა და თანმდევი რისკების გათვალისწინების გარეშე, რითაც მაღალი რისკის ქვეშ დადგა ავანსად გადარიცხული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნება გარანტორი ბანკისაგან „კონვენტ ჯორჯია“-ს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

2015 წლის 30 ნოემბერს ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებით ხელშეკრულების ღირებულება გაზრდილია 209.7 ათასი ლარით და სახელშეკრულებო ღირებულება განსაზღვრულია 2,448.3 ათასი ლარით, ხოლო სამუშაოთა ჩაბარების ვადა გაგრძელებულია 2016 წლის 10 ივნისის ჩათვლით²⁰, ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2016 წლის 11 ივლისამდე, ხოლო 2016 წლის 11

¹⁹ <http://abc.az/rus/news/90715.html>

<http://minval.az/k/evrobank>

http://musavat.com/news/ekonomika/nacalsya-prochess-likvidachii-evrobank_285613.html

²⁰ უცხოური საწარმო „კონვენტ ჯორჯიას“ 08.08.2015 წ. N08/08/2015-1 წერილი შპს „ინფრასტრუქტურის განვითარების კომპანიის“ 05.11.2015 წ. N02/11 და 17.11.2015 წ. N09/11 წერილები (ცვლილებას საფუძველად დაედო ის გარემოებები, რომ გეოლოგიურ დასკვნაში მითითებული ნაყარი გრუნტი რეალურად შედგებოდა არამდგრადი სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნაგვისაგან, რისთვისაც აუცილებელი იყო გრუნტის მოჭრისა და გატანის სამუშაოების მოცულობის გაზრდა, რასაც დაეთანხმა შპს „ინფრასტრუქტურის განვითარების კომპანია“ (პროექტის ავტორი და არსებულ საპროექტო განფასებაში ამავე კომპანიის მიერ მოხდა შესაბამისი ცვლილებები).

ივლისის შეთანხმებით ხელშეკრულების ვადა კვლავ გაგრძელებულია 2016 წლის 25 აგვისტომდე²¹.

სამსახურის მიერ 2016 წლის 30 მაისის N1043/02-02-22/02-03 წერილით ეცნობა სს „საქართველოს ბანკს“, რომ „კონვენტ ჯორჯია“-ს არ ჰქონდა შესრულებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და ითხოვდა ავანსად გაცემული თანხიდან შეუსრულებელი სამუშაოს სხვაობის 363.3 ლარის დაბრუნებას, რაზედაც „საქართველოს ბანკის“ 2016 წლის 3 ივნისის N046212 წერილით სამსახურს ეცნობა, რომ open joint stock company eurobank-ს 2015 წლის 24 ნოემბერს შეჩერებული ჰქონდა swift-ით კომუნიკაცია და ვერ მოახდენდა მოთხოვნის წაყენებას. აღნიშნულის შემდეგ, სამსახური 2016 წლის 14 ივნისის N 1160/02-02-22/03 წერილით „კონვენტ ჯორჯია“-სგან ითხოვდა საავანსო თანხიდან შეუსრულებელი სამუშაოს 363.3 ათასი ლარის დაბრუნებას ან ახალი საბანკო გარანტიის წარმოდგენას. თუმცა, კომპანიას არც თანხა დაუბრუნებია და არც უპირობო გამოუთხოვადი საბანკო გარანტია წარმოუდგენია²².

აუდიტით დადგინდა, რომ სამუშაოთა დასრულების ვადისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების მიუხედავად, „კონვენტ ჯორჯია“-ს მიერ გაგრძელებულ ვადებშიც ვერ იქნა უზრუნველყოფილი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოთა დასრულება (შესრულებულია მთლიანი სახარჯთაღრიცხვო მოცულობის მხოლოდ 57 პროცენტი). ცხრა ეტაპად წარმოდგენილი ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტებით (მიღება-ჩაბარების აქტები, ფორმა N2) და ანგარიშ-ფაქტურების მიხედვით „კონვენტ ჯორჯია“-ს მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულებამ შეადგინა სულ 1,399.4 ათასი ლარი, ხოლო გადახდამ 1,762.7 ათასი ლარი. გამომდინარე იქიდან, რომ „კონვენტ ჯორჯია“-ს 2016 წლის აპრილის შემდეგ სამუშაოები არ უწარმოებია (ბოლო შესრულებული სამუშაოს აქტი-ფორმა N2 წარმოდგენილია 16.04.2016 წელს), კლიმატური მოვლენების ზემოქმედებით, ზიანი აღგება უკვე განხორციელებულ სარემონტო სამუშაოებს²³. მიყენებული

²¹ (ამ შემთხვევაში ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდა იმ მოტივით, რომ სამშენებლო სარეაბილიტაციო და სარეკონსტრუქციო სამუშაოები არ იყო დასრულებული, თუმცა „კონვენტ ჯორჯიას“ შესრულებული ჰქონდა სამუშაოების გარკვეული ნაწილი, რომელიც საჭიროებდა შესაბამის საექსპერტო დასკვნას).

²² „კონვენტ ჯორჯიას“ 2016 წლის 22 ივლისის N 22.07.2016-01 წერილით წარმოდგენილი ჰქონდა პირობიანი საავანსო საბანკო გარანტია (N ERR234/45/123, მოქმედების ვადა 30.09.2016 წელი), გაცემული აზერბაიჯანული შპს „ამრაჰბანკი“-ს მიერ 400,0 ათას ლარზე, რომელიც ძალაში შევიდოდა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც საქართველოს ბანკი სრულად იქნებოდა დაკრედიტებული კონტრაქტით გათვალისწინებული წინასწარი გადახდით „კონვენტ ჯორჯიას“ საბანკო ანგარიშზე.

²³ აღნიშნული საკითხის შესახებ მითითებულია მთავრობის განკარგულების პროექტში, რომელიც წარადგინა სსიპ „ვეტერანების საქმეთა სამსახურმა“

დაზიანებების მოცულობის, ღირებულების და სამშენებლო სამუშაოების დასრულებისთვის საჭირო შესასრულებელი სამუშაოების მოცულობების განსაზღვრის მიზნით (არსებული დაზიანებების გათვალისწინებით), საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის დაზუსტების შედეგად, სამუშაოების დასამთავრებლად საჭირო სავარაუდო თანხა შეადგენს 1,310.0 ათას ლარს, რის შესახებაც 2016 წლის N1725/02.02.22/02.03 წერილით ეცნობა საქართველოს პრემიერ-მინისტრს.

აღნიშნულ კომპანიაზე ავანსის სახით გადარიცხული 1,000.0 ათასი ლარიდან აუდიტის მიმდინარეობისას შესრულებული სამუშაოების გათვალისწინებით საბანკო გარანტიის გამცემი ორგანიზაციიდან (OPEN JOINT STOCK COMPANY EUROBANK) დაფარვას ექვემდებარებოდა 363.3 ათასი ლარი²⁴, ხოლო გრაფიკით გათვალისწინებული სამუშაოების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობისათვის და ობიექტის ჩაბარების საბოლოო ვადაგადაცილებისათვის „კონვენტ ჯორჯია“-ს ჯარიმა-საურავების სახით დარიცხული აქვს 425.3 ათასი ლარი, რაც დღეის მდგომარეობით ჩარიცხული არ არის.

მიღება-ჩაბარების აქტების (ფორმა N2-ების) აუდიტით გამოვლინდა, რომ რიგ პოზიციებზე შესრულებული სამუშაოს ფასები არსებითად განსხვავდებოდა საპროექტო ხარჯთაღრიცხვის ღირებულებებთან. მაგალითად:

- ბეტონის (B-25(მ-327 და B-7.5(მ-100) ფასი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა საპროექტო ხარჯთაღრიცხვის მონაცემებისაგან. კერძოდ, საპროექტო ხარჯთაღრიცხვაში 1მ³ ბეტონის ღირებულებად შესაბამისად მითითებულია 108 ლარი და 91 ლარი, რაც შეესაბამება მშენებლობის შემფასებელთა კავშირის ცნობარის მონაცემებს²⁵. მიღება-ჩაბარების აქტებში (ფორმა N2-ბში) კი 1მ³ ბეტონის ღირებულებად მითითებულია 180 ლარი. მიღება-ჩაბარების აქტების (ფორმა N2-ბში) მიხედვით გახარჯული ბეტონის მოცულობამ სულ შეადგინა 454.5 მ³. 1 მ³ ბეტონს საპროექტო ფასის მიხედვით (108 ლარი და 91 ლარი) ბეტონის ფასის სხვაობა ფორმა N2-ებში დააფიქსირებულ მონაცემებთან მიმართებაში დანარიცხების გარეშე შეადგენს 33.7 ათას ლარს. სხვაობა დანარიცხების ჩათვლით (ზედნადები ხარჯები-10%, მოგება-8%, დღგ-18%) შეადგენს 47.3 ათას ლარს (გაანგარიშება იხილეთ დანართში ელექტრონული სახით).

²⁴ თუმცა სამსახურის მიერ გარანტორი ბანკის მიმართ თანხის დაბრუნებასთან დაკავშირებით კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარების შესახებ მტკიცებულებების წარმოდგენილი ვერ იქნა.

²⁵ რომელიც პრაქტიკაში გამოყენებად არანორმატიულ დოკუმენტს წარმოადგენს

- ზედმეტი გრუნტის გატანა 15 კილომეტრზე ავტოთვითმცლელით-საპროექტო ხარჯთაღრიცხვით ერთი ტონის ღირებულება შეადგენდა 8.69 ლარს, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტების (ფორმა N2) მიხედვით 15 ლარს. მიღება-ჩაბარების აქტების (ფორმა N2-ბში) მიხედვით გატანილი გრუნტის რაოდენობამ სულ შეადგინა 3724.1 ტონა. სხვაობა ფორმა N2-ებში დააფიქსირებულ მონაცემებთან მიმართებაში დანარიცხების გარეშე შეადგენს 23.5 ათას ლარს. სხვაობა დანარიცხების ჩათვლით (ზედნადები ხარჯები-10%, მოგება-8%, დღგ-18%) შეადგენს 32.9 ათას ლარს.

- მიღება-ჩაბარების აქტების (ფორმა N2-ბში) მიხედვით 1მ³ კვიშა-ხრეშოვანი ნარევის ფასი შეადგენდა 25 ლარს. გახარჯულის მოცულობამ სულ შეადგინა 1812 მ³. 1მ³ ხრეშის საპროექტო ფასის მიხედვით (12 ლარი, რაც ემთხვევა საბაზრო ღირებულებას), სხვაობა ფორმა N2-ებში დააფიქსირებულ მონაცემებთან მიმართებაში დანარიცხების გარეშე შეადგენს 23.5 ათას ლარს. სხვაობა დანარიცხების ჩათვლით (ზედნადები ხარჯები-10%, მოგება-8%, დღგ-18%) შეადგენს 33.0 ათას ლარს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საპროექტო ხარჯთაღრიცხვაში რიგი პოზიციების ერთეულის ღირებულებები აღემატება ფორმა N2-ებში მითითებულ ერთეულების ფაქტობრივ ღირებულებებს. მაგალითად, საპროექტო ხარჯთაღრიცხვაში 1მ³ მიწის ხელით დამუშავებაზე შრომის ანაზღაურება განსაზღვრული იყო 23.9 ლარის ოდენობით დღგ-ს გარეშე, 1მ³ კვიშა-ხრეშის ჩაყრა ქვაბულში გრუნტის გადაადგილებით 20მ-დე 13,3 ლარი დღგ-ს გარეშე და ა.შ. ფორმა N2-ებში მითითებული ღირებულებები კი შეადგენს შესაბამისად 15 და 7 ლარს დღგ-ს გარეშე. სამირკველის და კარკასის სამუშაოებზე საპროექტო ხარჯთაღრიცხვით შრომის დანახარჯი 1მ³ ბეტონის სამუშაოებზე გათვალისწინებული იყო 39-დან 103 ლარამდე დღგ-ს გარეშე, ხოლო 1 ტონა არმატურის სამუშაოებზე - 298 ლარი დღგ-ს გარეშე. ფორმა N2-ებში მითითებული შრომითი დანახარჯი კი აღნიშნულ სამუშაოებზე შეადგენდა 15 ლარს დღგ-ს გარეშე.

ზემოაღნიშნული სახის შეუსაბამოებმა განაპირობა ის გარემოებები, რომ მიმწოდებელს მიეცა საშუალება ტენდერში გამარჯვების მიზნით ზოგიერთ პოზიციაზე დაუსაბუთებლად გაეზარდა ან შეემცირებინა სამუშაოს ღირებულება ისე, რომ არ გასცდენოდა მის მიერ შეთავაზებული სატენდერო წინადადების ღირებულებას, რაც სამუშაოების ზღვრული ფასების დაწესების შემთხვევაში ვერ განხორციელდებოდა.

რეკომენდაცია:

რისკების დაზღვევის მიზნით მიზანშეწონილია მიმწოდებლების მიერ საბანკო გარანტიები წარმოდგენილი იყოს მხოლოდ მაღალი სანდოობის საერთაშორისო ან საქართველოს კომერციული ბანკებიდან. უცხოური ბანკებიდან საბანკო გარანტიების შემთხვევაში აღნიშნული საბანკო გარანტიების საფუძველზე წარმოდგენილი იქნას საქართველოში აკრედიტებული საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლარში ვალიდურობა დადასტურებული კონტრგარანტიები.

მიზანშეწონილია პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის ცალკეულ პოზიციებზე არაგონივრულად გაზრდილი ან შემცირებული ერთეულის ფასების თავიდან აცილების მიზნით, სამსახურმა სატენდერო დოკუმენტაციით დააწესოს სამუშაოების თითოეული პოზიციის ზღვრული ფასები.



რეკომენდაციები

❖ მიზანშეწონილია განხორციელდეს საწვავის ლიმიტების ოპტიმიზაცია. სამორიგეო ავტომანქანების გამოყოფა მოხდეს წერილობითი ფორმით ან ელექტრონული განაცხადის საფუძველზე.

❖ სამსახურმა საბიუჯეტო სახსრების რაციონალურად ხარჯვის მიზნით შესყიდვების სავარაუდო ღირებულებები განსაზღვროს ბაზრის დეტალური და საფუძვლიანი კვლევის შედეგად. კონტროლის მექანიზმებისა და ინსტრუქციური მეხსიერების გაძლიერებისა და მეტად ეფექტური ფუნქციონირებისათვის კვლევის შედეგები დადოკუმენტირებული იქნას შესაბამის ოქმებში.

❖ რისკების დაზღვევის მიზნით მიზანშეწონილია მიმწოდებლების მიერ საბანკო გარანტიები წარმოდგენილი იყოს მხოლოდ მაღალი სანდოობის საერთაშორისო ან საქართველოს კომერციული ბანკებიდან. უცხოური ბანკებიდან საბანკო გარანტიების შემთხვევაში აღნიშნული საბანკო გარანტიების საფუძველზე წარმოდგენილი იქნას საქართველოში აკრედიტებული საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლარში ვალიდურობა დადასტურებული კონტრგარანტიები.

❖ მიზანშეწონილია პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის ცალკეულ პოზიციებზე არაგონივრულად გაზრდილი ან შემცირებული ერთეულის ფასების თავიდან აცილების მიზნით, სამსახურმა სატენდერო დოკუმენტაციით დააწესოს სამუშაოების თითოეული პოზიციის ზღვრული ფასები.

უფროსი აუდიტორი		ნესტან ჯანელიძე
უფროსი აუდიტორი		შალვა ჯავახიშვილი
უფროსი აუდიტორი		ნინო ამირანაშვილი
აუდიტორი		ბესიკ ფერაძე